



საქართველოს  
სახალხო დამცველი

№2

აეროლური გამოშვა  
2016 წ. თებერვალი



# საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

გამოშველი ევროპავშირის პროექტის  
„საქართველოს სახალხო დამცველის  
კარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭირით

## 1. სახალხო დამცველის მისალება



საქართველოს სახალხო დამცველი  
ერა ნანეაზოლი

თებერვალში პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, ის არის, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში 13-მა სახელმწიფო უწყებამ „2014 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 3 ივლისის დადგენილებით მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები წარმოადგინა. მომწონს ეს ფორმატი და ვფიქრობ, აუცილებელია ამ ფორმატის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ მეტად გაძლიერება და დახვეწნა, რათა გამყარდეს საპარლამენტო კონტროლი და შესაბამისად გაიზარდოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებაც ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ომბუდსმენის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მიმართ. ბუნებრივია, რომ ხელისუფლების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება

ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას. ანგარიშების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ ჩვენი **ოფიციალური ვებგვერდის სიახლეებში** იხილოთ.

რაც შეეხება რეკომენდაციების შესრულებას, ზოგი შესრულდა, ზოგიერთი ნაწილობრივ შესრულდა, ნაწილი შესრულების პროცესშია. აქვე ვიტყოდი, რომ ყველა რეკომენდაცია არ არის გაზომვადი და რთულია იმის განსაზღვრა, რამდენად რეალურად მოხდა მისი შესრულება. ამიტომ, მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ რეკომენდაციის შესრულების თუ არშესრულების ხარისხის განსასაზღვრად ზუსტი ინდიკატორები შევიმუშაოთ.

## მინერსი:

1. სახალხო დამცველის მისალება	1
2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და თემატიკური სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციები	2
3. სახალხო დამცველის საჯარო გაცემადებაზე	6
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის კარატის საქმიანობა	8
შევეღრიაზი	10
სემინარები და ტრაინინგები	11
რეგიონები რეისის საქმიანობა	12
ნარჩატებული იდეივილური საქმეები	12
5. ლისტისანიშვნები თარიღები	12
6. სამომავლო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით	13
7. სახალხო დამცველის კარატის ამბეჭდი	15



მინდა, ცალკე გამოვყო კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, მათ შორის, დამოუკიდებელი საგამოძიებო მქანიზმისა და შრომის ინსპექციის შექმნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის და ასევე „იძულებით გაუჩინარებისაგან ცველა პირის დაცვის“ შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირება, ეკომიგრანტების შესახებ კანონი და სხვა. ანუ, არის რამდენიმე ისეთი რეკომენდაცია, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ კვლავ არ არის შესრულებული, თუმცა ჯერ კიდევ 2014 წლის დადგენილებაში იყო შესული.

ბოლო 5 წლის განმავლობაში სტატისტიკური მონაცემებით, სამუშაოს შესრულების დროს 500-მდე ადამიანი დასახირდა და 240-მდე დაიღუპა. თუმცა სრულად ეს მონაცემებიც არ ასახავს რეალობას; ასევე, 3 5000 ეკომიგრანტი იჯახი გვყავს ქვეყანაში. ეს არის მძიმე სურათი, რომელიც უამრავი იჯახის ტკივილს, გაჭირვებას და უიმედობას წარმოაჩენს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება.

შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობაზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს **ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში გაფიცულ თანამშრომელთა პრობლემები**. მაღაროები ადეკვატური შრომით პირობებსა და ღირსეულ ანაზღაურებას ითხოვენ. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ პირადად ჩავედი ტყიბულში შევხვდი გაფიცულებს და საგაფიცვო კომიტეტის წევრებთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან და შპს „საქანახშირი ჯი-აი-ჯის“ კომპანიის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, რამდენიმე საათი განვიხილავდი გამწვავებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს. შედეგად, გაფიცვა შეწყდა და მაღაროელებმაც გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს. დამსაქმებლები ხელფასის მომატებას და ზოგადი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას დაპირდნენ.

ცხადია, მიმდინარე დავა არ არის მხოლოდ დასაქმებულს და დამსაქმებელს შორის მოსაგ-

ვარებელი საკითხი; შექმნილი მდგომარეობა სოციალური პოლიტიკის გადახედვასა და სახელმწიფოს მხრიდან შრომითი უფლებების და შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით კონკრეტული ნაბიჯების გადახედვას მოითხოვს. ტყიბულის გაფიცვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სამრეწველო-კოლექტიური დავების მოგვარების ეფექტური მექანიზმი სახელმწიფოს არ გააჩნია. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება განმუხტოს დაძაბულობა, რაც შესაძლოა სოციალურ უსაფრთხოებას დაემუქროს.



თვის დასაწყისში საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლებს **სახალხო დამცველის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში** გავაცანი, ვისაუბრე მოქალაქეთა მომართვიანობის გაზრდილ მაჩვენებელზე, აპარატის ადამიანურ და ფინანსურ შესაძლებლობებზე, გაფართოებულ მანდატზე, გახშირებულ სპეციალურ ანგარიშებსა და ახალ, აქტუალურ მიმართულებებზე.

გასულ წელს უფრო გავაღრმავეთ ურთიერთობები ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან, შევინარჩუნეთ გამჭვირვალობა და მედია-საშუალებებისადმი ლიაობა, რეგულარული სახე მიეცა საქართველოში დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დიალოგს, გავაძლიერეთ კანონშემოქმედებითი საქმიანობა.

გარდა ამისა, წარმოვადგინე ინფორმაცია 2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და წინადაღებების შესრულების შესახებ. კერძოდ, ინდივიდუალური საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლენილი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, გაიგზავნა 80 რეკომენდაცია და წინადაღება, მათგან 40 (50%) შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა 14 (17%), პასუხი არ მოვიდა 26 (33 %) რეკომენდაციაზე.



თებერვალში, ჩემი მოწვევით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა **ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი** დუბრავა სიმონოვიჩი. მან რეგიონებში რამდენიმე შეხვედრა გამართა, ვიზიტის დასასრულს კი პირველადი რეკომენდაციები წარმოადგინა, რომლებიც თანხვედრაშია ჩვენს პოზიციასთან და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს წინაშე მდგარ გამოწვევებს ეხმანება.

იმედი მაქვს, სახელმწიფო უწყებები სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პოლიტიკის, სერვისებისა და დაცვის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე გაითვალისწინებენ.

ასევე მოწვევის წერილი გავუგზავნე **ხანდაზმულთა უფლებების დაცვის საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტს როზა ქორნფელდ მატეს**. წერილში ვისაუბრე ქვეყანაში ხანდაზმულთათვის არაკეთილსამედო და არაადაპტირებულ გარემოზე, სიღარიბეზე, ჯანდაცვის მომსახურების ხარვეზებზე, დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე, სოციალური დახმარების პაკეტის არაეფექტურობაზე, მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილ პრობლემებზე.

ვიმედოვნებ, რომ ხანდაზმულთა უფლებების დაცვის საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტთან წარმატებული თანამშრომლობა და მისი ვიზიტი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ხანდაზმული პირების მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

თვის ბოლოს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა **საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებასთან დაკავშირებით ჩემი ინიციატივა განიხილა**. კანონდოების მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება უნდა გასცდეს ნორმათა კონტროლის მოდელს და რეალური სარჩელის საფუძველზე, კონსტიტუციური კონტროლი განახორციელოს. ასევე, მართებულად მიმართა, გამონაკლისის სახით, კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში, დაშვებულ

იქნას 1995 წლის 24 აგვისტოს შემდეგ, საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული და გასაჩივრების ვადაგასული გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრება. აღნიშნული მექანიზმის შემოღება შესაძლებელს გახდის, გამოვლინდეს და გამოსწორდეს მართლმსაჯულების ხარვეზების მიზეზით დარღვეული საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტური მოთხოვნები.

ამას გარდა, ბევრი რეკომენდაცია და წინადადება მოვამზადეთ, ბევრი შეხვედრა გავმართეთ, რამდენიმე განცხადებაც მქონდა, სადაც აქტიურად ვითხოვდი ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას. მოკლედ, თებერვლის თვის ბიულეტენი შესაძლებლობას მოგცემთ გაიგოთ სახალხო დამცველის აპარატში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების, წარმართული საქმიანობისა და რაც მთავარია, ამ პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

## 2. სახალხო დამსახურის რეკომენდაციები და ნივალიზაციები სახალხო დამსახურის სამინისტრო და აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციების

### 2.1. ნივალიზაცია საქართველოს პრემიერ მინისტრს C ჰერატიცის სახალხო დამსახურის კორპრამარში ჩართვასთან დაკავშირებით

**1 თებერვალს** სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა წინადადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს უზრუნველყოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები ყველა პირის უფლებების თანაბარი რეალიზება და პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირებს შესაძლებლობა მისცეს ჩაერთონ C ჰერატიცის სახელმწიფო პროგრამაში.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ და უფლებრივ სიტუაციაში უწევთ ცხოვრება. საგალალო მდგომარეობაშია კლინიკები და ამბულატორიები, მცირეა კვალიფიციური ექიმების რაოდენობა. მოსახლეობას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა უწევს საოკუპაციო ხაზის გადმოსაკვეთად.

საქართველოს სახელმწიფოს გაცხადებული აქვს ნება – ხელმისაწვდომი გახადოს მათთვის საქართველოს მოქალაქეთათვის გათვალისწინებული სერვისები, მათ შორის პირადობის ნეიტრალური

მოწმობის საფუძველზე. ოკუპირებულ ტერიტო-  
რიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელო-  
ბისა და სოციალური უფლებების დაცვა მნიშ-  
ვნელოვნად შეუწყობს ხელს ოკუპირებულ ტერ-  
იტორიაზე მცხოვრები პირების უფლებრივი მდ-  
გომარეობის გაუმჯობესებას და კონფლიქტებით  
გაყიდვით საზოგადოებებს შორის ურთიერთო-  
ბებისა და ნდობის აღდგენას, რაც თავისთავად  
ეხმიანება სახელმწიფო სტრატეგიის მიზნებსა და  
ამოკანებს.

- \* სამწუხაროდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის წინადადება არ გაითვალისწინა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირადობის ნებიტრალური მოწმობის მქონე პირებს არ მისცა ჩ ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა.

2.2. სიცალის კარტუმების „აღრიცვული და სკოლამდები აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის ჩატარების შემთხვევაში.

**3 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველმანინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ცვლილებების შეტანას-თან დაკავშირებით.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციაში რამდენიმე საკითხი განიხილა, მათ შორის ეთნიკური უძლიერესობებისათვის მეთოდოლოგიური მასალებისა და სახელმძღვანელოების, აღმზრდელ-პედაგოგთა საკვალიფიკაციო სტანდარტებისა და პროფესიული განვითარების სქემის შემუშავებისა და დანერგვის ვალდებულება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბავშვთა სააღმზრდელო ჯგუფებში გადანაწილება და აღმზრდელ-პედაგოგთა პროპორციული თანაფარდობა; აღტერნატიული და სპეციალური სასწავლო პროგრამების დანერგვის მიზნით, დამატებითი ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა; ასევე, მუნიციპალური კონტროლისა და შიდა მონიტორინგის სისტემის დახვენა, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე დასკვნების შემუშავება და მათი აღსრულების ვალდებულება; და ბოლოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და კვების ორგანიზაციული წესების მონიტორინგის საკითხი.

2.3. შესაძლო არასათანალო მოპყრობის  
ფაქტზე გამოყიჩის დაწყების  
თივალადება მთავარ პროცესორს

**8 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველ-  
მა მსჯავრდებულის მიმართ შესაძლო არასათანა-

დღ მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების  
წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ  
პროკურორს.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის № დაწესებულების მსჯავრდებულის გ.ვ-ს განმარტებით, მას დაწესებულების ხუთმა თანამშრომელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

დათვალიერების დროს მსჯავრდებულს სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა, რომელთა წარმომავლობაზე ტრავმებისა და დაზიანებების აღრიცხვის უურნალში მითითებულია თვითდაზიანება, რასაც მსჯავრდებული არ ეთანხმება.

სახელმწიფო ვალდებულია გამოიძიოს მოცემული ფაქტი, როგორც ყველა მსგავსი შემთხვევა და გამოავლინოს დამნაშავე.

\* საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და არასათანადო მოპყრობის მუხლით დაიწყო გამოძიება.

2.4. ნინალალება მთავარ პროცესორს  
აჩასრულდოვანთა მიზართ  
კოლიციის მხრიდან სავარაულო  
აჩასათანადო მოყვირგბასთან  
დაკავშირებით

**10 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველ-  
მა გამოიიების დაწყების წინადადებით მიმართა  
საქართველოს მთავარ პროკურორს არასრულწ-  
ლოვნების მიმართ სამართალდამცავი ორგანოე-  
ბის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასა-  
თანადო მოპყრობის და სხვა კანონდარღვევის  
ფაქტიებთან დაკავშირებით.

არასრულწლოვანთა გადმოცემით, ისინი 2015 წლის 15 დეკემბერს, ღამის 10.00 საათზე, თერჯოლის ავტოსადგურზე იმყოფებოდნენ, როდესაც მათთან მივიღდნენ პოლიციის თანამშრომლები, ავტომანქანაში ჩასვეს და შეს თერჯოლის პოლიციის მთავარ სამმართველოში ნაიყვანეს. გზაში პოლიციელები მათ მაღაზიების გაქურდვის ფაქტების აღიარებას აიძულებდნენ, არნმუნებდნენ, რომ ისინი დანაშაულის ჩადენის დროს დაფიქ-სირებული იყვნენ ვიდეოკამერებზე. ასევე, ეკითხებოდნენ, ვინ მოიხმარდა მათ სოფლებში ნარკო-ტიკულ საშუალებებს. ემუქრებოდნენ ციხეში ჩასმით, სადაც გააუპატიურებდნენ.

განმცხადებლების თქმით, პოლიციის შენობიდან მხოლოდ დილის 6.00 საათზე გამოუშვეს და ამ რვა საათის განმავლობაში, მათ ჩამორთმეული ჰქონდათ ტელეფონები და არ მისცეს ოჯახის წევ-რებთან დარეკვის საშუალება; ასევე, მიაყენეს სი-ტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, გახადეს ტანსაცმელი, აიძულებდნენ მაღაზიის ქურდობის ფაქტის აღიარებას.

საუბარია 13 და 14 წლის არასრულწლოვნებზე, რომელთა დაცვა და მათ მიმართ სათანადო მოპყრობა სახელმწიფოს განსაკუთრებულ ვალდებულებას წარმოადგენს.

\* 18 თებერვალს საქართველოს მთავარმა პროცურამ სახალხო დამცველის აპარატს წერილობით შეატყობინა, რომ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და გამოძიება დაიწო არასათანადო მოპყრობისა და განზრახ უკანონო დაკავების მუხლებით.

## 2.5. რეკომენდაცია მოქალაქეობის მიზნით დოკუმენტის ფაქტთან დაკავშირებით

24 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელალსრულების N17 დაწესებულების პატიმრისადმი დამამცირებელი მოპყრობისა და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრს.

მსჯავრდებული კ.ყ. დაავადებულია C ჰეპატიტით და მისთვის რეკომენდებულია მედიკამენტ „სოფოსბუვირით“ მეურნალობა, რომელიც ხელმისაწვდომია სახელმწიფო „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. მსჯავრდებულს მკურნალობაზე ეუბნებიან უარს, ვინაიდან არ არის საქართველოს მოქალაქე. სახელმწიფოს განმარტებით, მედიკამენტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების C ჰეპატიტის პროგრამაში ჩართვა, ასევე, გამონაკლისი შემთხვევების განხილვა არ ხორციელდება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პროგრამიდან გამორცხვა წარმოადგენს მსჯავრდებულის მიმართ პირდაპირ დისკრიმინაციას საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო, რამდენადაც ის იმყოფება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და ვერ სარგებლობს მისი ჯანმრთელობის შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

## 2.6. ცინალადება აღრიცხვა ასაკი ერთიანების ფაქტთან დაკავშირებით

24 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა, კასპის მუნიციპალიტეტში 14 წლის თ.ა.-ს ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტთან დაკავშირებით არაეფექტური რეაგირების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა.

14 წლის თ.ა.-მ და 17 წლის ა.ვ.-მ მშობლების ინი-

ციატივით თანაცხოვრება დაიწყებს. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე პირი იყო არასრულწლოვანი და ვერ დადგებოდა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, გამოძიება არ დაწყებულა. თ.ა-ს შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი და მშობლების მხრიდან არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების უგულებელყოფის გარდა, არც სკოლის დირექციას გაუგზავნია შეტყობინება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში – ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის რეფერირების პროცედურის ფარგლებში.

საქმის შესწავლის პროცესში საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცხადი გახდა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულმა ორგანომ თ.ა-ს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევა სრულყოფილად არ შეისწავლა, განათლების შეზღუდვის ფაქტთან დაკავშირებით სპეციალური ღონისძიებები არ გაატარა, არ შეაფასა არასრულწლოვანის მდგომარეობა და უსაფრთხოება.

## 2.7. რეკომენდაციაზე რაჯახში კალაბობის შემთხვევაზე ეფექტური რეაგირების შესახებ

29 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე არაეფექტური რეაგირებისა და კოორდინაციისას არსებულ პრობლემებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს რეკომენდაციით მიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების დროს, იმ შემთხვევებში, თუ ადგილი არ აქვს მხოლოდ ფიზიკურ ძალადობას, სამართალდამცავები შემაკავებელი ორდერის გამოწერის ნაცვლად, გაფრთხილების პრაქტიკას იყენებენ.

ასევე, გამოვლინდა რომ მსხვერპლის სამართალდამცავ უწყებებში მიმართვების რამდენიმე წლიან პერიოდს სამართალდამცავები თითოეული მიმართვის მიხედვით განიხილავდნენ, როგორც ცალკე აღებულ შემთხვევას და არ ითვალისწინებენ ოჯახში ძალადობის სისტემატურ და განგრძობით ხასიათს.

რეკომენდაციაში, სხვა საკითხებთან ერთად, სახალხო დამცველმა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება მოითხოვა. ამასთან, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენის და მასზე შესაბამისი ეფექტური რეაგირების განხორციელების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უწყებათაშორის თანამშრომელობას ენიჭება. სწორედ ამიტომ აუცილებელია, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ძალადობის შემთხვევის

შესწავლისას ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობდეს.

### 3. სახალხო დამსახურის საქართველოს დაცვის დაკავშირი

#### 3.1. გაცხალებები მშენებლობაზე დასაქმებული აირჩივ დალუკასთან დაკავშირი

საქართველოს სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა **1 თებერვალს თბილისში და 8 თებერვალს ბათუმში მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანების გარდაცვალებასთან დაკავშირებით.**

მშენებარე ობიექტზე უსაფრთხოების წესებისთვის განკუთხნილი არასაკმარისი რეგულაციებისა და მათზე მონიტორინგის არარსებობისა თუ არაფექტურობის გამო, ხშირია მშენებლობაზე მომუშავე პირების ჯანმრთელობის დაზიანებების და დაღუპვის ფაქტები. აუცილებელია, უსაფრთხოების წესების დაცვასთან დაკავშირებით, სრულყოფილი რეგულაციების მიღება და მათი შესრულების მკაფიო მონიტორინგი, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას.

ბოლო პერიოდში სახალხო დამცველმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას, ყველა ზომა მიიღონ უსაფრთხო შრომის უზრუნველსაყოფად ქვეყანაში და შექმნან ეფექტური შრომის ინსპექცია. სანამ ეს ორგანო შექმნილი არ არის, მუშაკების დაშავებისა და გარდაცვალების თითოეულ ფაქტზე პასუხისმგებლობას აღნიშნული უწყებებიც იზიარებენ.

განცხადებაში სახალხო დამცველმა ასევე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოუწოდა, რომ წარუდგინოს საზოგადოებას გასულ წლებში შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაშავებული და დაღუპული მუშაკების საქმეზე დაწყებული გამოძიების ამსახველი ინფორმაცია.

#### 3.2. გაცხალება რელიგიური გრძნობების შეურაცხოფის აღმინისტრაციულ სამართლებულებების დაკავშირი

**2 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა პარლამენტის წევრის იოსებ ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც პირის რელიგიური გრძნობების შეურაცხოფისთვის ადმინისტრაციულ სამართლდარღვევად აცხადებს და ჯარიმას ანესებს. მართალია, ზოგადი შინაარსისა და ბუნდოვანების გამო, ინიციატორს მუხლის ფორმული-

რების შეცვლაშესთავაზეს, თუმცა, პრინციპის დონეზე კომიტეტმა მხარი დაუჭირა პირის რელიგიური გრძნობების შეურაცხოფის ადმინისტრაციულ სამართლდარღვევად მიჩნევის საკითხს.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა, როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმის თვალსაზრისით, ცალსახად წინააღმდეგობაში მოდის გამოხატვის თავისუფლებასთან, ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნას და საბოლოო ჯამში, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ განვითარებას.

საზოგადოებაში, სადაც რელიგიური ორგანიზაციები განსაკუთრებით ძლიერი და გავლენიანია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ ამ ორგანიზაციების, მათი წარმომადგენლების და მიმდევრების მიმართ საკუთარი, თუნდაც მიუღებელი აზრების გამოხატვის უფლება. ეს არამორწმუნებისთვის, კერძო და საჯარო სფეროში თვითორეალიზაციის ერთადერთი შესაძლებლობაა.

იმის გათვალისწინებით, რომ შემოთავაზებული ნორმით მიღებული სიკეთე ძალიან საეჭვოა, გამოხატვის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მიყენებული ზიანი კი ერთმნიშვნელოვანი, ნორმა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების არაპოპორციულ შეზღუდვას და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო აქტებით დადგენილ გარანტიებს. შესაბამისად, აღნიშნული საფრთხეების გამო, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს მიმართავს – უარი თქვას ამ ფორმისა და შინაარსის მქონე კანონპროექტის მიღებაზე.

სახალხო დამცველის განცხადების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა რელიგიის გრძნობების შეურაცხოფის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა გაიხმო.

#### 3.3. გაცხალება საქართველოს კარლაგანტის წევრის გოგი თოვაძის გამოსვლასთან დაკავშირი

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ **3 თებერვალს** საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, უმრავლესობის დეპუტატის გოგი თოვაძის განცხადება შეიცავს სტიგმას დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ.

უჩა ნანუაშვილმა მოუწოდა ყველა პირს საქართველოში, განსაკუთრებით მაღალი საჯარო თანამდებობის პირებს, თავი შეიკავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცველი დამოკიდებულების გამომხატველი განცხადებებისაგან. უფრო მეტ-

იც, ყოველმხრივ უზრუნველყონ მათი უფლებების თანაბარი დაცვა და საქმიანობის გააქტიურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

### 3.4. განსაზღვავა აოლის მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადახატაბის და სავარაუდო ეთნიკური ინიციატივის მასში მონაბეჭდის ფაქტთან დაკავშირებით

**5 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველი ახმეტაში, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, სავარაუდოდ ეთნიკური ინიციატივის შესაძლო და აღმოჩენის მიმართულების ფაქტს გამოხემაურა და შეახსენა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, რომ სახელმწიფომ ცალსახად გამოხატა პოლიტიკა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მიმართ, როდესაც გაამკაცრა პასუხისმგებლობა და შემოიღო სპეციალური დეფინიცია. შესაბამისად, თუკი ამ დანაშაულის ჩამდენი სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენერალია, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა – მთელი სიმკაცრით გამოიყენოს კანონი და არ დატოვოს შერჩევითი მართლმსაჯულების თუნდაც მცირედი ეჭვი.

დაზარალებულების მტკიცებით, სამართალდამცავების აგრესიული ქმედებები მას შემდეგ დაიწყო, რაც აღმოაჩინეს რომ ისინი ეთნიკურად ქისტები იყვნენ. ინციდენტის დროს სამართალდამცავების მხრიდან, ფიზიკურ შეურაცხყოფასთან ერთად, ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და მათ ეთნიკურ წარმომავლობაზე ხაზგასმას.

### 3.5. განსაზღვავა საჯარო რეესტრის შესახებ კანონის ცვლილების აროებით დაკავშირებით

**8 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა საჯარო რეესტრის შესახებ კანონის ცვლილების პროექტი და სახელმწიფო საკუთრებად მიწების რეგისტრაციისას პროცესის მეტი გამჭვირვალეობა მოითხოვა. კანონპროექტის მიხედვით, უძრავ ნივთზე, რომელზეც საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით არ დასტურდება სხვა პირის საკუთრების/მართლზომიერი მფლობელობის უფლების არსებობა, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრების უფლება რეგისტრირდება.

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის პროცესი. ყველა იმ პირს, რომელსაც კონკრეტულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების/მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები გააჩნიათ, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში ჯერ კიდევ არა აქვთ რეგისტრირებული. ამის უმთავრე-

სი მიზეზი, აღნიშნული დოკუმენტების ხარვეზებით გაცემასთან ერთად (მიწის ზუსტი ადგილმდებარეობისა და ფართობის მიუთითებლობა და სხვა), არის ასევე მძიმე სოციალური ფონი და რეგისტრაციისათვის საჭირო თანხების უქონლობა (რეგისტრაციის საფასური, საკადასტრო-აზომვითი ნახაზის შედგენის ღირებულება).

კანონპროექტი აჩენს რისკს სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირდეს ის მიწის ნაკვეთები, რომლებსაც კერძო მესაკუთრები და მართლზომიერი მფლობელები ყავთ. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი საქმე კი ადასტურებს, რომ უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვის შემდეგ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კერძო პირებს უარს ეუბნება საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაშიც კი.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნული კანონპროექტი სერიოზულ ზიანს მიაყენებს საქართველოში საკუთრების უფლების რეალიზაციას და საქართველოს პარლამენტმა არ უნდა გაიზიაროს იგი.

\* სახალხო დამცველის განცხადების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში შეჩერდა საჯარო რეესტრის კანონის ცვლილებების შეტანის საკითხები მუშაობა და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ მიუთითა თვითმმართველობებსა და სახელმწიფოს, სისტემის საბოლოო დახვეწამდე შეაჩერონ მსგავსი რეგისტრაციები.

### 3.6. განსაზღვავა საეზიალიზაციაზე საღებაულის დანახვის უფლების ფაქტით დაკავშირებით

**8 თებერვალი.** საქართველოს სახალხო დამცველმა უკიდურესი შეშფოთება გამოოთქვა ბოლო 3 თვის განმავლობაში, სპეციალიზებულ სადლელამისო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 3 პირის გარდაცვალების გამო, რომელშიც, საგარაუდოდ, პასუხისმგებელი პერსონალის დაუდევრობის ნიშნები იკვეთება.

კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში უნდა იყოს კეთილმოწყობილი, სუფთა და უსაფრთხო გარემო, სადაც ბენეფიციარებს სათანადო ყურადღება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მოთხოვნილებების მიხედვით უნდა მიექცეს. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბენეფიციარებს კი, ადმინისტრაცია დახმარებას უნდა უწევდეს კვების პროცესში.

სახალხო დამცველის განცხადებით, აუცილებელია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა ადეკვატური რეაგირება მოახდინონ მომხდარ ფაქტზე, გამოკვეთონ არსებული ცალკეული თუ სისტემური ხარვეზები და გაატარონ ყველა შესაძლო ღონისძიება მათი აღმოფხვრისათვის. ამასთან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის დაწესებულებების შიდა მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმის გაძლიერება და აღნიშნულ პროცესში შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა.

საქართველოს სახალხო დამცველმა საგამოძიებო უწყებებს დროული და ეფექტური გამოძიებისა და ყველა პასუხისმგებელი პირის გამოვლენისაკენ მოუწოდა.

### 3.7. განხევალება საგნის „მა და საზოგადოება“ სასწავლო გამის შესახებ

**16 თებერვალი.** საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ ახალ საგანს „მე და საზოგადოება“, მიიჩნევს, რომ ამ საგნის მიზნები: მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებას. საგანმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეში შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების გამომუშავებას, აღმოჩენებისა და სიახლის ძიების მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; ჰუმანური ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

\* უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის განცხადების შემდეგ, საგნის „მე და საზოგადოებას“ სწავლებას ასევე მხარი დაუჭირეს საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს პრემიერ—მინისტრმა.

## 4. სახალხო დამსახურისა და სახალხო დამსახურის პარატის საქმიანობა

### 4.1. მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგი

**25 იანვრიდან 10 თებერვლის** ჩათვლით, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა ბავშვთა უფლებების ცენტრის თანამშრომლებთან ერთად განახორციელეს მონიტორინგი და 10 მცირე საოჯახო ტიპის სახლი მოინახულეს.

მონიტორინგის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა და ბავშვთა

უფლებების ცენტრის თანამშრომლებმა დაათვალიერეს მცირე საოჯახო ტიპის სახლების ფიზიკური გარემო, კონფიდენციალობის დაცვით, პირისპირ ინტერვიუს გზით გაესაუბრნენ მცირე ბავშვთა სახლებში მცხოვრებ ბავშვებს. ჯგუფის წევრები ასევე გაესაუბრნენ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების პერსონალს. მონიტორინგის დროს აგრეთვე შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია.

### 4.2. დავილის დარღვეული უფლებების აღდგენის შესახებ სახალხო დამსახურის რეარმანებისა არ გაითვალისწინება

**18 თებერვალი.** საქართველოს პრემიერ—მინისტრის აპარატმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ არ გაიზიარეს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია დევნილთათვის პრივატიზაციის პროცესის კანონის ფარგლებში წარმართვისა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე.

დევნილის სტატუსის მქონე რ.უ. რეგისტრირებული იყო დის საცხოვრებელ მისამართზე, თუმცა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა და სხვადასხვა ნათესავებთან ცხოვრობდა. დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, რ.უ.—ს სიძეს ა.პ.—ს სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი, სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის წესით, კერძო საკუთრებაში გადასცა. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს რ.უ.—ს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისრა. აღნიშნულის შესახებ რ.უ. ინფორმირებული არ ყოფილა და არც სიძემ უზრუნველყო იგი საცხოვრებელი ადგილით.

შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან საქმის არაჯეროვანი შესრულების მიზეზით, რ.უ. კვლავ თავშესაფრის გარეშე დარჩა.

### 4.3. სახალხო დამსახურის ერთეულის მისამართის რეარმანების მიმდინარეობის მონიტორინგის განხორციელება

**24 თებერვალი.** საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ფარგლებში, საქართველოში ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის მიმდინარეობის შესწავლა დაიწყო.

ქმედუნარიანობის ინსტიტუტის კვლევის ფარგლებში შეფასდება, როგორც მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო, ისე მისი დანერგვის პროცესი.

ნორმატიულ აქტებთან ერთად, კვლევა შეისწავლის საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ექსპერტიზის ბიუროს მიერ პირის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით გაცემულ დასკვნებს და მათ შესაბამისობას, როგორც კანონმდებლობასთან, ისე კონვენციასა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.

#### 4.4. საჯარო დებატები თემაზე: „სეკულარიზაციის გამოვლენაზე საქართველოში“

**26 თებერვალს** მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე „სეკულარიზაციის გამოვლენები საქართველოში“, რომელსაც მოდერაცია თავად საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გაუწია.

ლონისძიებაზე მოხსენებით წარსდგნენ საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი მაია კვირიკაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ფილოსოფიის დოქტორი გიგა ზედანია, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელი თამთა მიქელაძე და რელიგიის ეროვნული სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი არჩილ მეტრეველი.



დებატებზე ყურადღება გამახვილდა სეკულარიზაციის პრინციპის პრაქტიკაში სრულყოფილი სახით გატარებისა და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან დროული რეაგირებისა და გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობაზე. ასევე განიხილეს რელიგიის თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების საკითხები, რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსებისა და მათთვის სახელმწიფო ქონების გადაცემის პრაქტიკა, რელიგიური და საკულტო ნაებობების გადაცემა-დაბრუნების საკითხები, გამოწვევები განათლების სფეროში და რელიგიის სააგენტოს როლი სეკულარიზაციის განმტკიცებაში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებას. აღნიშნა, რომ განრიდების პრაქტიკა, როდესაც პატიმრობა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით იცვლება, სასჯელისგან თავის არიდებას კი არ გულისხმობს, არამედ ტოლერანტული, ურთ-

იერთ თანამშრომლური გარემოს შექმნას.

ისაუბრეს აგრეთვე ქვეყანაში ფუნდამენტალისტთა ჯგუფების აქტიურობაზე, სამოქალაქო განათლების წინააღმდეგ აგორებულ კამპანიასა და რელიგიურ სფეროში რეფორმების აუცილებლობაზე. აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაციისთვის დაფინანსების გამოყოფა დისკრიმინაციული ქმედებაა.

საჯარო დებატების მეორე ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

საჯარო დებატები ადამიანის უფლებების სფეროში აქტუალურ საკითხებზე ყოველი თვის ბოლო პარასკევს სახალხო დამცველის ორგანიზებითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის გაძლიერება“ მხარდაჭერით იმართება.

#### 4.5. აღამისის უფლებათა ეროვნული ინსტიტუციის ევროპული ესელის სამუშაო შეხვედრა

**25-26 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პატაგა ბელთაძემ გერმანიის დედაქალაქ ბერლინში მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHR) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესრულების მონიტორინგში მდგრადი განვითარების მიზნების მისტიტუტების ეფექტური მონაწილეობისთვის პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას, ამ სფეროში არსებული განსხვავებული მიღვომებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად გაზიარების მექანიზმის შექმნასა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.

მდგრადი განვითარების მიზნები ეს არის გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ გასული წლის სექტემბერში მიღებული უნივერსალური დოკუმენტი, რომლის მთავარი სლოგანია: არავინ დავტოვოთ უკან და რომელიც წევრ სახელმწიფოებს უწესებს ვალდებულებას მომდევნო 15 წლის განმავლობაში ეტაპობრივად განახორციელონ შეთანხმების 16 ძირითადი მიზანი, რომელიც მოიცავს სილარიბის დაძლევას, სოციალური კეთილდღეობის საყოველთაობას, განათლებისა და განვითარების უფლების რეალიზაციას, ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, გენდერულ თანასწორობას და დისკრიმინაციის-აგან თავისუფალი გარემოს შექმნას, მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გარანტიების შექმნას ყველა ადამიანისთვის თანასწორობის პრინციპების შესაბამისად, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას და სხვა.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ზემოხსენებული მიზნების მთავრობების მიერ შესრულების მონიტორინგის პროცესში, ვინაიდან ომბუდსმენთა ინსტიტუტები ყოველწლიურად აფასებენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას თავიანთ ქვეყნებში.

## შეხვედრები

### 4.6. სამუშაო შეხვედრა განახლებული სახსიალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან

**4 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველმა სამუშაო შეხვედრა გამართა განახლებული სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან. შეხვედრაზე განიხილეს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან და სპეციალური პრევენციული ჯგუფის დებულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, პროფესიული ეთიკის საკითხები, სამუშაო მეთოდოლოგია და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.



### 4.7. შეხვედრა ქალთა მიმართ ქალადობის, ქალადობის მიზანებისა და შემთხვევის შესახებ გაეროს სახსიალურ მომსახურებით

**15 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომსენებელ დუბრავკა სიმონოვის შეხვდა.

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი მომსენებელი გაეცნო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხედვას და რეკომენდაციებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. შეხვედრაზე ისაუბრეს ადრეულ ასაკში ქორწინების, ოჯახში ძალადობის, ქალთა მკვლელობებისა და ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმების ირგვლივ არსებულ მდგომარეო-

ბაზე, სახელმწიფო პოლიტიკასა და ინსტიტუციურ მოწყობაზე, ასევე სერვისების მიწოდების სფეროში არსებულ გამოწვევებზე.



განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემაკავებელი და დამცავი ორდერების აღსრულების მონიტორინგის დანერგვის მნიშვნელობასა და განმეორებითი შემთხვევების მონიტორინგს. აღინიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ დაბალია უნიკებათა შემორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა.

### 4.8. შვა პირთა უფლებების კონვენციის კოვალურიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის სახსიალური საბჭოს შეხვედრა

**26 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს მეოთხე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილე, აპარატის წარმმადგენლები და საბჭოს მოწვეული წევრები.

საბჭომ განიხილა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მეთოდოლოგიის პროექტი.

სხდომაზე შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის უფროსმა ირინე ობოლაძემ საბჭოს წევრებს საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში შესატანი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების თავის პროექტი წარუდგინა, ხოლო სხდომის მონაწილეებმა პოლიტიკოსებისა და საზოგადოების სხვა ცნობილი სახეების მხრიდან, შშმ პირების მიმართ დისკრიმინაციული-სიძულევილის ენის შემცველი გამონათქვამების საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ისაუბრეს.

## სემინარები და ტრენინგები

### 4.9. სახალხო დამსახულთან არსებული სკოლის პროცესის კრიტიკული ჯგუფის განახლებულ შეადგილობრას ტრენინგი ჩაუტარდა

**3 თებერვალს** სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“, ჩაუტარდათ ტრენინგი ანგარიშის წერის ტექნიკაში. ტრენინგის მიზანი იყო ანგარიშგების გაუმჯობესების გზით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.



ტრენინგზე განიხილეს ანგარიშის წერის, როგორც კომუნიკაციის ფორმის თავისებურებები, ანგარიშის სახეები და სტანდარტული სტრუქტურა, წამების პრევენციის კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტები. სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა გამართა დისკუსია დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის ორგანიზაციულ ასპექტებსა და ანგარიშგების საკითხებზე.

### 4.10. სემინარები უკრაინაში

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა იზაბელა ოსიპოვამ **8-9 თებერვალს** კიევში და **11 თებერვალს** დნეპროპეტროვსკში ჩაატარა სემინარი თემაზე: არა ქსენოფობიას და ტოლერანტობის ხელშეწყობა; საქართველოს გამოცდილების გაზიარება ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის სფეროში“.



უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) ორგანიზებულ სემინარებს ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრების შემდეგ გამართულ დისკუსიებზე დამსწრები განსაკუთრებულად ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებით, გამოძიებითა და სანქციებით დაინტერესდნენ. ასევე მიიღეს ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების თაობაზე და მის მიერ ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

### 4.11. ტრენინგი ურალისტებისთვის „იმულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკითხების გაშექვების თაობაზე“



**25-26 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იმულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად“ - პროექტის ფარგლებში, და საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს დაფინანსებით უურნალისტებისთვის ჩატარდა ტრენინგი „იმულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკითხების გაშუქების თაობაზე“.

თავის მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა მგრძნობიარე საკითხების გაშუქებისას მედიასაშუალებების წვლილზე, მათ ვალდებულებებზე და კვალიფიკაციის დიდ მნიშვნელობაზე.

საქართველოს უურნალისტური ეთიკის საბჭოს წევრმა მაია მეცხვარიშვილმა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ნინო სულამანიძემ და მერი კოჭლამაზაშვილმა ტრენინგის მონაწილეებს გაშუქების სტანდარტები, საერთაშორისო პრაქტიკა, იმულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა უფლებები და ამ კუთხით სახალხო დამცველის საქმიანობა გააცნეს.

## რეგისტრაციული მფლობელის საკმიანობა

4.12. ქათაისის გვარის დღის  
ცემონიაზე გადახდის მიზანი

**4 თებერვალს** სახალხო დამცველის რნმუნებული იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და გურიის მხარეში მადონა ბასილაძე ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების შემ ბავშვთა დღის ცენტრის „ჯადოსნურ სამყაროს“ ზღაპართ ოთახს ესტუმრა და ცენტრში მყოფ ბავშვებს სახალხო დამცველის სახელით საჩუქრად სულხან-საბას იგავ-არაკების კრებული გადასცა.

4.13. ევროკავშირის მონიტორინგის  
მისის დამკირვებალა გურიის  
რეგიონის მინისტრი

#### 4.14. გარემოს დაცვითი პრობლემები საქართველოს მთიან ჩატურები

**19 თებრვალს** სახალხო დამცველის ნარმომად-  
გენელი რაჭა-ლეჩიშუმისა და ქვემო სვანეთის  
მხარეში სოფიო ხვადაგიანი გარემოსდაცვითი  
სამოქალაქო ინიციატივის (OEI/CENN) რეგიონულ  
კოორდინატორს ნანა სოხაძეს შეხვდა. შეხვე-  
დრაზე რეგიონისთვის პრობლემატურ – გარემოს  
დაცვისა და ტყით სარგებლობის საკითხებზე ის-  
აუბრეს.

#### 4.15. შეცველისა და სამოქალაქო სეპტორითან გარეული



**9 და 10 თებერვალს** სახალხო დამცველის აპარატის ქვემო ქართლის ოფისის წარმომადგენლებმა მარწმულში მოქმედ არასამთავრობო ორგანი-

ზაციის წევრებთან, მარნეულის „ახალგაზრდული ცენტრის“ წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და რადიო „მარნეულის“ თანამშრომლებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი და საქმიანობა განიხილეს. ასევე, მოწვეულ სტუმრებს სახალხო დამცველის პარატის მიერ ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოცემული საინფორმაციო ბროშურები გადასცეს.

4.16. ლისკუსია აზარის ღომოკრატიული  
ჩართულობის ცენტრში

**23 თებერვალს** სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების მიზნით, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა აჭარაში მონაწილეობა მიიღეს „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ გამართულ დისკუსიაში - სახალხო დამცველის დღე და ამინისტრიტუტის მნიშვნელობა საქართველოში.

## თარგმანული ინდივიდუალური საქმეები

4.17. სახალხო დამცველის ქალისხევით,  
მოძალაქას სოშიალურად დაუცველი  
ოჯახების მონაცემთა ერთიან გაზაში  
ჩატარების საფუძვლის გადაღება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე გ.მ.-ს განცხადება, რომელ-იც შეეხებოდა სოციალური დახმარების შეწყვეტის საკითხს. სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტომ გამოიკვლია მოქალაქის სოციალ-ურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის კანონიერების საკითხი და გამოავლინა დარღვევები.

სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის **11 თებერვლის** ბრძანების საფუძველზე მოქალაქეს აღუდგა რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხოლო სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიმართ გატარდა დისციპლინური ხასიათის ღონისძიებები.

#### 5. ლირსშესანიშვნავი თარიღები

**21 თებერვალი** - მშობლიური ენის საერთაშორისო დღეა, რომელიც 2000 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება მთელ მსოფლიოში. ეს თარიღი იუნესკომ 1999 წელს დააწესა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის

დაცვის საკითხს. სასიამოვნოა, რომ სახალხო დამცველის გასული წლების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს ზოგიერთ სკოლაში მცირე-რიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური (ოსური, ასურული, უდიური, ქურთული, ავარული) ენების სწავლება დაიწყო.

**29 თებერვალს** საქართველოს სახალხო დამცველ-მა და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრმა ორგანიზაციები-მა **მშობლიური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს.**

შეხვედრას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები და სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრები.

ღონისძიებაზე საქართველოს სახალხო დამცველ-მა უჩა ნანუაშვილმა მცირე ეთნოსების მშობლიური ენის დაცვასა და შენარჩუნების საკითხზე გაა-მახვილა ყურადღება, ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებმა და კოორდინატორმა, ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენების მდომარების შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს.

შეხვედრის ბოლოს საქართველოს სახალხო დამცველმა მშობლიური ენის დაცვასა და შენარჩუნებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა საბჭოს წევრები: სიმონ (მამული) ნეშუმაშვილი, ნაირა ბეპიევი, მექა ხანგოშვილი, რეგინა იაკობიძე და ქერიმ ანყოსი.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული, საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ (PITA) მხარდაჭერით. შეხვედრა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრი ორგანიზაციის „საქართველოს რუს ახალგაზრდათა კავშირის“ ინიციატივით გაიმართა.

## 6. საერთაშორისო სიახლეები აღამისის უფლებათა ევროკული სასამართლოს 2015 წლის სტატისტიკური ანალიზი

### 6.1. აღამისის უფლებათა ევროკული სასამართლოს 2015 წლის სტატისტიკური ანალიზი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

2015 წლის სტატისტიკური ანალიზი გამოაქვეყნა. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, გასულ წელს სა-სამართლომ სულ 823 გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელთაგანაც 692 (84%) საქმეზე, ადამიანის უფლებათა კონვენციის მინიმუმ ერთი მუხლის დარღვევა იყო დადგენილი.

ქვეყნების მიხედვით კონვენციის დარღვევის წლიური ცხრილში წარმოდგენილია ის ქვეყნები რომელთა წინააღმდეგ გადაწყვეტილებების ყველაზე დიდი რაოდენობა არსებობს, ესენია: რუსეთი 109 გადაწყვეტილებით, თურქეთი 79 გადაწყვეტილებით, რუმინეთი 72 გადაწყვეტილებით, უკრაინა 50 გადაწყვეტილებით, საბერძნეთი 43 გადაწყვეტილებით და უნგრეთი 42 გადაწყვეტილებით.

რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებით არსებულ ძირითად მონაცემებს, ევროპულ სა-სამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრებიდან 2015 წელს მხოლოდ 4 გადაწყვეტილება იქნა მიღებული და სასამართლომ მხოლოდ ორ შემთხვევაში დაადგინა ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევა. დარღვევები ეხებოდა დისკრიმინაციის აკრძალვას და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ევროპული სასამართლოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, 1959 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, საქართველოს მიმართ მიღებულ იქნა 64 გადაწყვეტილება და მათგან 48 გადაწყვეტილებაში სასამართლომ კონვენციის შესაბამისი მუხლების დარღვევა დაადგინა.

მიმდინარე საქმეების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ: უკრაინას – 21.4 %, რუსეთს – 14.2%, თურქეთს – 13.0%, იტალიას – 11.6% და უნგრეთს – 7.1%. საქართველო 2 150 მიმდინარე საქმით (3.3%), პირველ ათ ქვეყანას შორის არის.

### 6.2. აღამისის უფლებათა ევროკული სასამართლოს გაღამისის და საქართველოს ნინაალმაზე

**2 თებერვალს** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე 6.6. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის დაცულობის უფლება) დარღვევა დაადგინა.

საქმე ეხება სამი არასრულწლოვანი ბავშვის შესახებ მიმდინარე სამართალწარმოებას. ბავშვები დედის გარდაცვალების შემდეგ დეიდასთან (ცხოვრობდნენ, ვინაიდან მამა იმ პერიოდში ნარკოდამოკიდებულების გამო მკურნალობდა. 2010 წელს ეროვნულმა სასამართლომ ბავშვები მამას დაუბრუნა).

ბავშვების დედია, განმცხადებელი 6.6. ევროპული სა-სამართლოს წინაშე დავის საფუძველს წარმოადგენდა

ის მიზეზი, რომ მისი დისტვილები არ იყვნენ სათანა-დოდ ჩართული სამართალწარმოებაში, ეროვნულ-მა სასამართლოებმა და სოციალურმა მუშაკებმა გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინეს ბავშვების საუკეთესო ინტერესები, არ მიღეს მხედ-ველობაში ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა, მამის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და მათი სურვილი, ეცხოვრათ დეიდასთან.

ევროპულმა სასამართლომ მთლიანად გაიზიარა მომჩინეობის პოზიცია და თავის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ბავშვის უფლებასთან მიმართებით – ჰყავდეს კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც არსებითად დაიცავს მის ინტერესებს – ხარვეზიანია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს“.

საქართველოს მთავრობის არგუმენტით, ბავშვის ინტერესებს სასამართლოში სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკები წარმომადგენდნენ. ამ მტკიცების საწინააღმდეგოდ, ევროპულმა სასამართლომ, შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, განმარტა, რომ ბავშვის წარმომადგენელი ვალდებულია მიაწოდოს ბავშვის ინფორმაცია და განმარტებები პროცესის თაობაზე და ვალდებულია ბავშვის ხედვები გააცნოს სასამართლოს. შესაბამისად, ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოცულეულ საქმეში სოციალური მუშაკების მიერ ოქმების შევსება და სასამართლო სხდომებზე მათი დასწრება არ ნიშნავს ბავშვის ინტერესების სათანადო წარმომადგენლობას. მით უფრო მაშინ, როდესაც ბავშვებს არ მიეცათ ეროვნული სასამართლოების წინაშე წარდგენის უფლება.“ სასამართლომ გაკვირვება გამოხატა, იმ ფაქტის გამო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უფროს ბავშვსაც კი არ მოუსმინეს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არასათანადოდ შეაფასებს ბავშვების საუკეთესო ინტერესები და არ გაითვალისწინეს ბავშვების ემოციური მდგომარეობა.

### 6.3. ეროვნულ უასირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის // მოსაზრება

**11 იანვარს** ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტმა საქართველოში უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ მეორე მოსაზრება გაავრცელა.

კომიტეტის მოსაზრებაში საუბარია ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე სახალხო დამცველის ოფისში შექმნილ თანასწორობის დეპარტამენტზე, სახალხო დამცველისადმი საზოგადოების

ნდობის მაღალ ხარისხზე, ომბუდსმენის მანდატისა და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის ზრდით, რაც გარკვეულილი და რეგიონული ოფისების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია. შესაბამისად, ბოლო წლებში იმატა მოქალაქეთა მიმართვიანობამაც. მიუხედავად ამისა, ანტიდისკრიმინაციული კანონის ცოდნის დონე დაბალია და მისი პრაქტიკის გამოყენება არაეფექტიანი.

კომიტეტმა ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელობას, რომლის მონიტორინგზეც მთავარი პასუხისმგებელი ინსტიტუტი სახალხო დამცველია; პოზიტურად შეაფასა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ წლიური და თემატური ანგარიშების პარლამენტში განხილვა; ასევე, 2014 წლიდან პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ზედამხედველობა სახელმწიფო უწყებების მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების შესახებ, რაც რეკომენდაციების პოლიტიკურ მნიშვნელობას ზრდის.

კომიტეტმა დადებითად შეაფასა სახალხო დამცველის მიერ ოსური ფორუმის შექმნა, როგორც ოსი მოსახლეობის უფლებების დაცვის პლატფორმა და წარსული დაბადულობისა და კონფლიქტების ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის ხელშეწყობა; ასევე, მიუთითა სახალხო დამცველის პოზიციაზე, სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით და გამონაკლის შემთხვევებში, კონფლიქტით დაზარალებულ პირთათვის მოქალაქეობის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ.

მოსაზრებაში აღნიშნულია სახალხო დამცველის როლი, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ეფექტური გამოძიების მოთხოვნისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდის ხელშეწყობის კუთხით; გამოკვეთილია დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის აუცილებლობა.

კომიტეტის შეფასებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ წარსულში მიყენებული ზიანის კომპენსაციის შესახებ რეკომენდაცია კონკრეტული საფუძვლების, თუ ზიანის განსაზღვრის კრიტერიუმების მითითების გარეშე გასცა. ამასთან, კომიტეტის თანახმად, ეჭვს ინვესტიციანების მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაციისათვის მინიჭება და ამ წრიდან იმ ორგანიზაციების გამორიცხვა, რომლებსაც ანალოგიურად მიადგათ ზიანი. კომიტეტი სინანულს გამოთქვამს, რომ ამ პროცესში არ იყო ჩართული სახალხო დამცველთან არსებული რელიგიითა საბჭო. სახალხო დამცველთან არსებული საბჭოს კონსულტაციებს არ ეფუძნებოდა სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც, რელიგიური ნაგებობების მშენებლობასთან, ან ასეთი შენობების საკულტო

ცენტრებად ტრანსფორმირებასთან დაკავშირდებით. საკონსულტაციო კომიტეტი უკმაყოფილებას გამოთქვას, იმასთან დაკავშირებითაც, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მოხსის ინციდენტის შესწავლის პროცესში სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო არ იყო ჩართული.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრში შემავალი ეთნიკური უმცირესობების საბჭო მთავარ საკონსულტაციო მექანიზმს წარმოადგენს, სადაც უმცირესობების წარმომადგენლებსა და მათ ორგანიზაციებს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისა და ინტერესების გაუღერების შესაძლებლობა აქვთ. საბჭოს წევრობა ღიაა და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით შეზღუდვა არ არსებობს. კომიტეტი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეთნიკური უმცირესობების საბჭო ჩართული იყო როგორც საკანონმდებლო ასევე ზოგადი პოლიტიკის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, 2015-20120 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტის შემუშავებაში. კომიტეტი მიუთითებს, რომ საბჭო ადგვატურ დაფინანსებას საჭიროებს, რათა მან უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შეხვედრებზე დასწრება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

#### 6.4. საერთაშორისო ორგანიზაცია AMNESTY INTERNATIONAL-ს ანგარიში

**23 თებერვალს** საერთაშორისო ორგანიზაციამ „Amnesty International“ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ 2015-2016 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოში არსებული მდგომარეობაც არის მიმოხილული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების არაეფექტურობა და ის, რომ მიუხედავად სახალხო დამცველის ინიციატივისა და მოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ, ქვეყანაში არ იქნა მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

საერთაშორისო ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვადასხვა ფაქტებზე. ტელეკომპანია „რუსთავის 2-ის“ გარშემო განვითარებულმა მოვლენების შესახებ ნათქვამია, რომ კითხვები გაჩნდა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით; საანგარიშო პერიოდში უწყვეტად გრძელდებოდა სასამართლო სისტემაზე პოლიტიკური ზენოლის შესახებ ბრალდებები, მათ შორის შერჩევით სამართალ-

თან დაკავშირებით; იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია ხელს უშლიდა ან ზღუდავდა მშვიდობიან შეკრებებს და მოვანილია 12 ივნისს, ჰეთარ ალიევის სკვერის მაგალითი, როდესაც პოლიციამ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დარღვევების გასაპროტესტებლად აქტივისტებს შეკრების საშუალება არ მისცა; 15 მარტს კი, ქართული ოცნების დახალოებით 50 მომხრე თავს დაესხა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისს ზუგდიდში, რომლის შედეგადაც 9 ადამიანი დაშავდა მათ შორის პოლიციის თანამშრომლები.

მართალია, 17 მაისს პომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ხელისუფლებამ უარი განაცხადა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში თუ აქცია წინასწარ განსაზღვრულ ადგილას და წინასწარ გახმაურების გარეშე არ ჩატარდებოდა.

ანგარიშში ასევე საუბარია 10 ივნისს სამხრეთ ოსეთიდან რამდენიმე ასეული მეტრით სასაზღვრო პუნქტის თვითნებური გადმოწევასა და შექმნილი დაძაბულობის შესახებ.

## 7. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

### 7.1. ახალი თანამშრომლები

**თებერვლიდან** სახალხო დამცველის აპარატში რეგიონული დეპარტამენტის უფროსად, კონკურსის წესით შეირჩა თემურაზ ქორიძე, სამეცნიერო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ლევან პაპავა, აჭარის სამმართველოს უფროსად ციალა ქათამიძე და იმერეთის რაჭა-ლეჩებუმის, ქვემო სვანეთისა და გურიის მხარის სამმართველოს უფროსად მადონა ბასილაძე; ხოლო სპეციალისტებად შეირჩნენ: მარნეულის ოფისში ირმა მჭედლიძე, გორის ოფისში დალი ჯანიაშვილი, შემ პირთა უფლებების დეპარტამენტში ნინო გალიკოვი.


### 7.2. თელავის ოფისშა აღგილობრივად

**9 თებერვლიდან** სახალხო დამცველის აპარატის თელავის ოფისი ჩოლოყიაშვილის ქუჩა N36-დან ამავე ქუჩის დასაწყისში, ჩოლოყიაშვილის ქუჩა N3-ში გადავიდა და ჩვეულ რეზიმში განაგრძობს საქმიანობას.

### 7.3. მოართვიანობის სტატისტიკა

იანვრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 779 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 670 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:


- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 1
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 82
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 293
- რეგიონული სამმართველო — 208
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 29
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 16
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 13
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 7
- თანასწორობის დეპარტამენტი — 13
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 8



#### შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პატიმართა უფლებები — 294

- სამოქალაქო უფლებები — 49
- პოლიტიკური უფლებები — 2
- სოციალური უფლებები — 81
- ეკონომიკური უფლებები — 20
- მოხელის მხრიდან უფლებამოსილების გადამტება — 15
- სისხლის სამართლის საქმე — 122
- რელიგიური საკითხები — 4
- ბავშვის უფლებები — 26
- გენდერული თანასწორობის საკითხები — 18
- შშმ პირთა უფლებები — 7
- საკანონმდებლო საკითხი — 7
- დისკრიმინაცია — 11
- კონფლიქტური რეგიონებიდან შემოსული განცხადებები — 1
- დამატებითი განცხადება და სხვა — 122



## კონტაქტი

### ცხელი საზო — 1481

#### თბილისი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877

ფაქსი: +99532 913841

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

#### ბათუმი:

მაზნიაშვილის ქ. 9

მობ.: 577 50 52 31

ტელ.: 0422 27 05 44

#### ზუგდიდი:

კოსტავას 58

მობ.: 577 50 52 34

ტელ.: 0415 22 36 11

#### ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქ. 4

მობ.: 577 12 27 70 ;

577 12 27 71

ტელ.: 0362 22 32 83

#### თელავი:

ჩოლობაშვილის ქ. 3

მობ.: 591 883538

ტელ.: 0350 27 99 27

#### ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18

მობ.: 577 55 33 81

ტელ.: 0431 25 33 50

#### გორი:

სამების ქ. N1

მობ.: 577 78 27 42

ტელ.: 0370 27 05 49

#### მარნეული:

რუსთაველის ქ. 51

ტელ.: 0357 22 19 70

#### ოზურგეთი:

დავით აღმაშენებლის ქ. №9

ტელ.: 0496 27 30 53

მობ.: 593 44 44 27

რელაქტორი: თაონა გოგოლაშვილი

სარელაქტორ კოლეგია:

თამარ ხილაშვილი,

ნიკო თათალაშვილი